



უნმინდესი პატრიარქი კირილე სათავეში ჩაუდგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომას



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 13.10.2022. 13 ოქტომბერს მოსკოვში დანილოვოს სტავროპოლიტური მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესი პატრიარქი სათავეში ჩაუდგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი სხდომის მუშაობას.

მუშაობის დაწყების წინ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა სინოდის წევრებს

შესავალი სიტყვით მიმართა, – **იტყობინება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური

„დღეს ჩვენ საკმაოდ ვრცელი დღის წესრიგი გვაქვს, რომელიც 20 საკითხისგან შედგება, და რომელთაგან თითოეული ჩვენგან შესაბამის ყურადღებას მოითხოვს“, – განაცხადა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

„წმინდა სინოდი იმ დროში იკრიბება, რომელსაც არ შეიძლება მშვიდი ენოდოს, – განაგრძო მან. – ამიტომ ამოცანა ეკლესიისა, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება სამშვიდობო ძალა, ისაა, რომ თავისი ლოცვებით, თავისი შრომით, თავისი დადებითი ზეგავლენით საზოგადოებაზე შეძლოს მაქსიმალურად შეამციროს დაძაბულება და შეძლებისამებრ გავლენა მოახდინოს კონფლიქტების შესუსტებაზე, რომლებმაც შეიძლება არაპროგნოზირებად შედეგებამდე მიგვიყვანოს“.

„მართლაც, ჩვენ ამჟამად განვიცდით მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტს და ეკლესიამ, როგორც სამშვიდობო ძალამ, რომელსაც მოცემული აქვს ღვთის მაღლი ადამიანთა დასამშვიდებლად, სულიერი ცხოვრების განსამტკიცებლად, დღეს უნდა გააძლიეროს ლოცვები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიას შეადგენენ“, – ხაზი გაუსვა უწმინდესმა მეუფემ.

„ვილოცოთ, რომ უფალმა მოიღოს თავისი ნყალობა, ჩვენ კი, როგორც ეკლესია, ვიპროვოტო იმისთვის, რომ იმ კონფლიქტებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, რეალობად იქცა, არ მიგვიყვანოს ისეთ შედეგებამდე, რომლებიც შეიძლება მძიმედ აისახოს ჩვენი ხალხების ცხოვრებაზე. ღმერთმა ინებოს, რომ საღმრთო სამართლიანობამ იზეიმოს და რომ მშვიდობა გამეფდეს ჩვენს გულებში“, – მბრძანა დასასრულ უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.